ეროვნული ბიბლიოთეკა

## 13 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა



სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღესთან დაკავშირებით თბილისში მოწყობილი საზეიმო სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი — კობულეთის რაიონის ქაქუთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ე. ზაქარიაძე, სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ჯანგულაშვილი, მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ნაჭყებია, მევენახეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი, სამტრედიის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. გუნია, გორის რაიონის ფლავის კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ გოგშელიძე, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ჟუჟუნია, მცხეთის რაიონის წეროვნის საბჭოთა მეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი ფ. სოხაშვილი, მახარაძის რაიონის დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. სპამპორაშვილი, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი დ. მაისურაძე, ამავე რაიონის ნატანების კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი დ. ტაკიძე.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ოქტომბერი კვირა 1968

ფასი 2 კპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 241 (14237)

# ქართული მეცნიერებისა და კულტურის სიამაყე

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომიტეტის სხდომა

**რამდენიმე** დღე დარჩა რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარი საუკუნის იუბილემდე. ამ თარიღისათვის ემზადება მთელი ქართველი ხალხი. იუბილეს წინ უძღვის ბევრი სამეცნიერო კონფერენცია და სესია საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, მშრომელთა შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებთან და მასწავლებლებთან, ლექციები და საუბრები უნივერსიტეტის დამაარსებლებზე, მის როლზე საბჭოთა მეცნიერების ქმნადობასა და განვითარებაში, უდიდეს დამსახურებაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში.

11 ოქტომბერს თბილისის უნივერსიტეტის ახალ, 14-სართულიან კორპუსში, რომელიც მოკლე დროში აშენდა დელისის რაიონში, გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — ჩვენი საზოგადოებრიობის, მთელი ქართველი ხალხის სახელით დიდ მადლობას ვუძღვნი ამ საუცხოო შენობის მშენებლებს. ჩვენი ხალხი მაღალ შეფასებას აძლევს მშენებელთა დიდ და ძნელ შრომას, რომლებმაც მოკლე დროში, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად აღმართეს მრავალსართულიანი შენობა.

ამ შრომაში ჩაქსოვილია სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი მოწინავე მეცნიერებისადმი, დიადი სამშობლოსადმი.

ახლა მთავარი, — განაგრძო ამხ. მჟავანაძემ, — ის არის, რომ ამ დიდებული ნაგებობის ბატონ-პატრონები, — სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები გაუფრთხილდნენ ყოველივე იმას, რაც ასეთი სიყვარულით გადასცა მათ ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღესასწაული — ეს არის მთელი ქართველი ხალხის დღესასწაული, მისი მეცნიერებისა და კულტურის დღესასწაული. და შემთხვევითი როდია, რომ იგი ასე დიდ გაქანებას იძენს. თბილისის უნივერსიტეტის წარმატებებით კანონიერად ამაყობს საბჭოთა საქართველო. მართლაც, ჩვენს რესპუბლიკაში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით არ ემზადებოდნენ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის.

შემდეგ ამხ. მჟავანაძემ წაიკითხა სხდომის დღის წესრიგი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს **გ. ს. ვაშაკიძეს,** რომელმაც საიუბილეო კომიტეტის წევრებს მოახსენა, რომ დამთავრდა მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტების 14-სართულიანი შენობისა და მათემატიკურ პრობლემათა ორსართულიანი ლაბორატორიის მშენებლობა. მინისტრმა აღნიშნა, რომ მშენებლებმა ვადაზე ორი წლით ადრე ააშენეს თბილისისათვის ეს უნიკალური ნაგებობა. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებული იყო 1970-1971 წლებში, ვაბარებთ კი ახლა, უნივერსიტეტის სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში.

ამხ. ვაშაკიძემ დაასახელა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სამშენებლო სამუშაოთა დიდ მოცულობას.

ახალი კორპუსის ფართობი 22 ათასი კვადრატული მეტრია. შენობაში არის დიდი კონფერენც-დარბაზი, ხუთი დიდი და 65 პატარა აუდიტორია, 35 ლაბორატორია, 425 ოთახი პროფესორებისათვის, მასწავლებლებისა და მეცნიერი მუშაკებისათვის, ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აგებულია ასტრონომიული გუმბათი.

მშენებლობას აწარმოებდნენ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი და მისი № 1 სამშენებლო სამმართველო. მათ ეხმარებოდნენ სამინისტროს სხვა სამშენებლო ორგანიზაციებიც.

უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მშენებლობა გახდა. მშენებლებთან ერთად შრომობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც ზაფხულის არდადეგების დროს აქ თავიანთი მესამე შრომითი სემესტრი გაატარეს.

ამხ. ვაშაკიძემ დაასახელა ორგანიზაციები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი მშენებლობაზე. მათ შორის არიან სამონტაჟო ორგანიზაციები, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, რესპუბლიკის მომარაგების ორგანიზაციები.

უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საიუბილეო გამოცემების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. ს. ძოწენიძემ.**

— უნივერსიტეტის იუბილე, — თქვა მან, ჯეროვნად უნდა აისახოს ლიტერატურაში, რომელიც თაობებს გადასცემს ამ უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის ისტორიას, მის როლსა და მნიშვნელობას ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. საიუბილეო დღეებისათვის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მოამზადა 29 დასახელების წიგნი. ეს არის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მეცნიერთა შრომები, საცნობარო ლიტერატურა სტუმრებისათვის ქართული ლიტერატურისა და ენის, ისტორიის, ხელოვნების შესახებ, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოდის, და წიგნები იუბილარის, სამშობლოს წინაშე მისი დამსახურების შესახებ.

საიუბილეო გამოცემათა უმრავლესობა უკვე გამოვიდა. მათ შორის არის „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია (1918-1968)", რომელიც დაწერა უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ, „თბილისის უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია", რომლის ავტორები არიან უმაღლესი სასწავლებლის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ჯიქია და ვ. ქარუმიძე, „თბილისის უნივერსიტეტი (1918-1968 წწ)" (ცნობარი), პროფესორ შ. ძიძიგურის „ქართული ენა" რუსულ ენაზე, პროფესორ ი. მიქელაძის „საქართველოს სახალხო მეურნეობა და თბილისის უნივერსიტეტი", პროფესორ შ. მესხიას „საქართველოს ისტორია", სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნება" და მისივე წიგნი „სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი საგანძურები და მათი დაბრუნება". გამოვიდა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ჯიბლაძის შრომები და სხვ.

ამხ. ძოწენიძემ ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვით წიგნების დროულად გამოცემასა და მათ კარგ პოლიგრაფიულ შესრულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტსა და თბილისის უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიას, რომელსაც პროფესორი დ. გამეზარდაშვილი ხელმძღვანელობს.

გამოფენათა ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. დ. კიკნაძემ** ილაპარაკა თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მომავალ გამოფენაზე. ამ გამოფენის ექსპონატები ასახავენ საბჭოთა მეცნიერების განვითარებას, უნივერსიტეტის გარდაქმნას ქართული მეცნიერებისა და კულტურის კერად, ქართველი ინტელიგენციის კადრების სამჭედლოდ.

თემატიკის მიხედვით გამოფენა სამ ნაწილად იყოფა: ადრეული პერიოდი, მე-18-19 საუკუნეები, უნივერსიტეტის დაარსება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს.

გამოფენის ექსპოზიციაში დიდ ადგილს დაიკავებს საარქივო მასალები, ფოტოდოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ უნივერსიტეტის პირველ ნაბიჯებზე, ქართველ მეცნიერთა პლეადაზე, რომლებიც პირველნი ჩაუდგნენ სათავეში უმაღლეს სასწავლებელს და მტკიცე საძირკველი ჩაყარეს მისი შემდგომი განვითარებისათვის.

გამოფენის მთავარი განყოფილებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს. იგი დამთვალიერებელთ გააცნობს სამეცნიერო და აღმზრდელობითს მუშაობას, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ცამეტსავე ფაკულტეტზე წარმოებს. აქ წარმოდგენილია მეცნიერებისა და პედაგოგების 50 წლის მანძილზე შექმნილი მნიშვნელოვანი შრომები.

გამოფენა ასახავს უმაღლესი სასწავლებლის მრავალფეროვან ცხოვრებას, მისი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, სტუდენტთა მჩქეფარე კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას, მათს მიღწევებს სხვადასხვა სახეობის სპორტში.

ამხ. კიკნაძემ ხაზი გაუსვა იმ დიდ მუშაობას, რომელიც უნივერსიტეტის გამოფენათა მომწყობმა კომისიამ გასწია.

ანგარიში მომავალი იუბილეს აღსანიშნავი ზეიმის შესახებ გააკეთა საიუბილეო ზეიმობის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ, საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. მ. სირაძემ.**

21 ოქტომბერს — ზეიმობის დაწყების დღეს, სპორტის სასახლეში გაიმართება სადღესასწაულო საიუბილეო ფესტივალი „ზეიმობს ახალგაზრდობა", რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი 1000 კაცის შემადგენლობით, სიმფონიური და საესტრადო ორკესტრები, უმაღლეს სასწავლებელთა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თვითმოქმედი კოლექტივები, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი. კონცერტის მთავარი რეჟისორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ჩხეიძე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის მხატვრულ თვითმოქმედებას.

22 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება დიდი საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები და ქართული ხელოვნების ოსტატები. ცენტრალური მოვლენა იქნება უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საიუბილეო კრება, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართება. მოეწყობა საიუბილეო სესიები, საღამოები, მშრომელთა შეხვედრები უნივერსიტეტის მეცნიერებთან, სტუდენტებთან, კულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებები. საქართველოს უძველეს სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებში გაიმართება სახალხო დღესასწაულობა.

ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები და საზღვარგარეთელი სტუმრები.

სხდომაზე გამოვიდა უნივერსიტეტის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, უნივერსიტეტის რექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი **ი. ნ. ვეკუა.** მან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა მთავრობის საიუბილეო კომიტეტს და პირადად ვ. პ. მჟავანაძეს იმ უდიდესი მუშაობისათვის, რომელიც განხორციელდა უნივერსიტეტის იუბილეს დღესასწაულის მოსამზადებლად.

— ეს იუბილე, — თქვა ამხ. ვეკუამ, — უნივერსიტეტის ისტორიაში შევა როგორც მკაფიო გამოვლინება პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვისა ქართული მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის. ბევრი რამ, რაც იუბილესათვის მზადების დღეებში გაკეთდა, მომავალ თაობებს დარჩებათ.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებთან და მასწავლებლებთან ერთად ვიყავი საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში. და ყველგან ვნახეთ, თუ რა გულმხურვალედ ეკიდება ამ დღესასწაულს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

უნივერსიტეტის იუბილე, რომელსაც პარტიისა და მთავრობის ინიციატივით საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს მთელი ქართველი ხალხი, უეჭველად დიდი სტიმული იქნება იმ ახალ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის წინაშე დგას სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **ვ. პ. მჟავანაძემ.** (საქინფორმი).



ვადაზე ორი წლით ადრე აშენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეს ახალი კორპუსი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. ბინზბურგისა.

13 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა

# სოფლის მშრომელთა დღესასწაული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
მ. ლვინჯილია

[illegible]

[illegible] ...რის მუშაკთა საკავშირო დღის დაწესება დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა. თავიანთ დღესასწაულს სოფლის მშრომელები, სპეციალისტები ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან. ასეა მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ასეა ჩვენს რესპუბლიკაში.

სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღესთან დაკავშირებით მშრომლები ერთგვარად აჯამებენ განვლილი მუშაობის შედეგებს და ამასთან სახავენ ქმედითს ღონისძიებებს, რომ წარმატებით დამთავრდეს სამეურნეო წელი.

სოფლის მეურნეობის ხასაქონლო პროდუქცია 1965 წელთან შედარებით გასულ წელს 56 მილიონი მანეთით გაიზარდა. შარშან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ახალი წარმატებები მოვიპოვეთ, მიღებულ იქნა კარგი მოსავალი.

რესპუბლიკის სოფლის მშრომლებს უკანასკნელ წლებში სულ უფრო უმსუბუქდებათ შრომა. ჩვენი სოფლის მეურნეობა დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას იღებს. უკანასკნელ სამ წელიწადში რესპუბლიკაში მიღებულია ათასობით ტრაქტორი, 870 კომბაინი, 4.400 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა, 930 ექსკავატორი, 600 ბულდოზერი, 1.000-ზე მეტი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა და სხვა ტექნიკა. მოსავლიანობის გადიდების მიზნით საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამავე პერიოდში მიიღეს 2.600 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

სოფლის მშრომელთა დღესასწაულს დიდი გამარჯვებებით ხვდე-[illegible] ...დის მესამე წელი განსაკუთრებით ძნელი გამოდგა მეჩაიეებისათვის. გაზაფხულზე და ზაფხულზე ჩაის ფოთლის ვეგეტაციისათვის არახელსაყრელი ამინდები იყო, მაგრამ მეჩაიეებს უკან არ დაუხევიათ, უამინდობას ყოველგვარი საშუალებებით შეებრძოლნენ და კვლავ გამარჯვება მოიპოვეს — ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მეჩაიეებმა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე ჩაის ნედლეულის ხარისხის ამაღლებაში.

ჩაის ნედლეულის გეგმების შესრულებისა და ხარისხისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან რესპუბლიკური დროშის მფლობელი წალენჯიხელი მეჩაიეები, რომლებმაც კვლავ პირველებმა შეასრულეს გეგმა და ვალდებულებაც. ქებას იმსახურებენ აჭარის, აფხაზეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, წყალტუბოს და სხვა რაიონების მეჩაიეები. უფრო დიდ და სახახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, მეჩაიეებმა.

მოწინავეთა შორის უნდა დავასახელოთ მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, მარქსის სახელობის კოლმეურნეობები, კოლმეურნეობა „საქართველო", ქობულეთის რაიონის ბობოყვათის, ხუცუბნის, დაგვის, ქვედა აჭყვის, ზუგდიდის რაიონის რუხის, ინგირის კოლმეურნეობები; გალის რაიონის ოქუ-[illegible] ...ქმნეს. ამ მანქანის ავტორთა ჯგუფს უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმატებით მუშაობენ ეს მანქანები.

ჩაის საკრეფი მანქანები წარმატებით მუშაობდნენ ზუგდიდის რაიონის ლენინის ორდენოსან ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობაში წლითიწლობით იზრდება ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. 1967 წელს მეურნეობაში მოკრეფილია 3.151 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული და საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 6.815 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანებით მოიკრიფა 2.114 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. სახელოვანი მექანიზატორები ი. შულაია, ს. აფხაზავა და სხვები სეზონში კრეფენ 80 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს.

ჩაის მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს და ამჟამადაც შეაქვთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უნარიან ხელმძღვანელებს — სოციალისტური შრომის გმირებს ს. მუხაშავრიას, მ. ორაგველიძეს, ი. ფუტკარაძეს, ვ. ჭეიშვილს, ა. კვარაცხელიას, ი. ქანთარიას, ვ. ლაკოიას, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ა. როგავას, აგრეთვე გ. წითლიძეს და მრავალ სხვას.

შორს არის ცნობილი მეჩაიე ვეტერანების — ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას, სოციალისტური შრომის გმირების დარეჯან ტაკიძის, ტატიანა ჩხაიძის, ახმათ ჯიჯავაძის, ქსენია სარსანიას, ტატიანა ტუღბუჩავას და სხვების შრომითი წარმატებები. ამ ვეტერანების მაგალითით აღიზარდნენ ახალგაზრდა მეჩაიეები — სოციალისტური შრომის გმირები კლავდია ნაცვალაძე, ვინარი სხულუხია, დალი წივწივაძე, ნათელა შენგელია, ლამარა ჩხაიძე, ანეტა ხურციძე, ემინე ზაქარიაძე და სხვები.

კარგი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის მევენახეებმა, მებაღეებმა, მეციტრუსეებმა. ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში რესპუბლიკაში დამზადებულია 465.000 ტონა ყურძენი ნაცვლად 400.000 ტონისა, სახელმწიფოს მიეყიდა 235.000 ტონა ხილი ნაცვლად 222.000 ტონისა, 65,3 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 46,1 ათასი ტონისა.

რესპუბლიკის მევენახეობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ კახეთის რაიონების მევენახეები. ისინი ღვინის მრეწველობას აძლევენ მაღალხარისხოვან ყურძენს საქვეყნოდ ცნობილი სამარკო ღვინოების დასაყენებლად. ყურძნის წარმოებაში სერიოზული წვლილი შეაქვთ იმერეთის რაიონებს და ზოგიერთ სხვა რაიონს.

უკანასკნელ წლებში ვენახების აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებისა და მოვლის ღონისძიებების განხორციელების შედეგად მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა", ჩუმლაყის კალინინის სახელობის, თელავის რაიონის სანიორეს, გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ და სხვებმა.

მევენახეობის განვითარებაში დიდი წვლილი უდევთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. უტიაშვილს, სოციალისტური შრომის გმირებს ი. ნაცვლიშვილს, დ. მამისაშვილს, აგრეთვე გ. მელაშვილს და მრავალ მევენახეს.

რესპუბლიკის მეხილეობის აღმავლობაში დიდ როლს ასრულებენ ქართლის, სამხრეთ ოსეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონები, რომელთა სათავეში პირველ რიგში დგას გორის რაიონი. ხილის უხვი მოსავლის მიღებაში თავი ისახელეს გორის რაიონის ნიქოზის კიროვის სახელობის, ხელთუბნის, მეჯვრისხევის, ძევერის, ფლავის კოლმეურნეობებმა; ცხინვალის რაიონის დმენისის, ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის, ქარელის რაიონის დვანის კოლმეურნეობებმა; ბრეთის, ვარიანის, ქიწნისის, ხურვალეთის და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

ხილის უხვი მოსავლის მოყვანაში სახელი გაითქვეს სოციალისტური შრომის გმირმა ეკატერინე თვალიაშვილმა, გრიგოლ საგკაევმა, მოწინავე მეხილეებმა — ნინო ნიკოლაიშვილმა, გიორგი ელბაქიძემ, გიორგი ჭელიძემ, რევაზ ყანჩაველმა, სერგო ბუციკიძემ, შოთა ნასყიდაშვილმა და სხვებმა.

მეციტრუსეობის განვითარებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის მეციტრუსეთა მუშაობა, რომლებიც ყოველწლიურად სახელმწიფოს აძლევენ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების რესპუბლიკური გეგმის 70 პროცენტს. მოწინავე მეციტრუსეებმა მკვეთრად გაზარდეს ბაღების მოსავლიანობა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ნატანების, ახალშენის, ციხისძირის, ურეკის, კოხორის საბჭოთა მეურნეობების, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის, დაგვის, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობების წარმატებები. ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მიღებაში დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის გმირს ე. ტულუშს, სოციალისტური შრომის გმირებს დ. ბაკურიძეს, ბ. თოდრიას, აგრეთვე გ. ჩაჩიბაიას, ფ. მინაშვილს და სხვებს.

სოფლის მეურნეობაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დასანერგავად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, ბრიგადებსა და რგოლებში დიდ მუშაობას ეწევა ათასობით მოწინავე ადამიანი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

როცა ვლაპარაკობთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, არ შეიძლება არ ითქვას ჩვენი მეცნიერების დიდ ღვაწლზე. მათ შორის არიან: სოციალისტური შრომის გმირები ქ. ბახტაძე, ნ. ხომიზურაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. დარასელია; ი. ქანთარია, ი. რამიშვილი, ე. ერისთავი, ფ. მამფორია, ტ. ცერცვაძე, გ. ნადარაია და მრავალი სხვა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს, ამ ზეიმის დღეს, ჩვენი მეჩაიეების, მევენახეების, მეხილეების, მეცხოველეების, მექანიზატორების დიდებითმოსილ შრომას მთელი ქართველი ხალხი მიესალმება და უსურვებს ახალ წარმატებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

წელს ჩვენი ქვეყანა მესამეჯერ აღნიშნავს სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს და იგი აღინიშნება განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, როცა გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომლები ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას არ იშურებენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი — მისცენ სამშობლოს მეტი ჩაის ნედლეული, ყურძენი, ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, თუთუნი, დაფნა, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა პროდუქტები. ამასთან ერთად სანიმუშოდ გამოაზამთრონ საზოგადოებრივი პირუტყვი, სრულყოფილად გამოიყენონ არსებული რეზერვები, შესაძლებლობანი, რომ მიაღწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ ეკონომიურ განმტკიცებასა და გაძლიერებას, ამ საფუძველზე მკვეთრად გააუმჯობესონ მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

## სერგეი სმირნოვი

## გაუმარჯოს, საქართველოვ!

[illegible]

ერთმანეთს ხვდება,
სტუმართმოყვრობის ანდამატით
ასე რომ გვათრობ,
რომ შენი გულის ანდამატი
აროდეს ცვდება.

და იქნებ სწორედ, იქნებ სწორედ
ამის დასტურად,
ვეშურებოდი როცა ფრენით
სანატრელ მხარეს,
წამოიმართა ძირს ყაზბეგი
თამადასავით
და ჯიხვის რქისებრ გამობრწყინდა
ნამგალა მთვარე...

თან მდევს და მახსოვს ეს ქვეყანა
ყველგან და მარად,
მისი მშვენების, მისი სახის
ვარ მომღერალი.
მასთან ვარ კვალად და მქროლავი
მის მთა და ბარად
ბარათაშვილის მელანდება
შავი მერანი.

აქ ღვიძლ ძმას ნიშნავს მეგობარი —
ეს სიტყვა წმიდა,
ლარნაკში — ყვავილს და უმწიკვლო
გრძნობას კაცისას.
და უღალატო ერთგულების
ვარსკვლავნი კრთიან
აქ როგორც თვალნი —
თვალნი ნინო ჭავჭავაძისა.

თასს ვიღებ ხელში, რისი წყალი —
სავსეა ღვინით!
მე მასთან ერთად ვარსკვლავიან
სივრცეებს შევსვამ
და გეტყვი ასე: — ალავერდი,
შენ, საქართველოვ,
ალავერდი შენ, შენს მყინვარწვერს
და თბილისს შენსას!

## ხიდები

პოეტის ხიდზე ვდგავარ,
პოეტის ხიდი ვნახე,
ატარებს ხიდი იგი
ბარათაშვილის სახელს.
პოეტის ხიდზე ვდგავარ,
დღეა მშვიდი და წყნარი,
ჩქერებს ჩავყურებ, ხიდს ქვეშ,
დინჯად მოედინება მტკვარი.

ისე კარგია ახლა
ზეცის სილურჯე მაღლა,
ისე კარგია დილა,
გამჭვირვალე და მშვიდი,
ასე მგონია, დიახ,
რაღაც დიდს და მაღალს
ჩემთვის ჩურჩულებს მტკვარი,
ჩემთვის ჩურჩულებს ხიდი.

რას, რას მაუწყებს მტკვარი?
რას, რას მაუწყებს ხიდი?
მტკვარი: არისო კიდევ
დროის მდინარე დიდი!

ხიდი: არისო ხიდი
ჩვეულებრივთა გარდა,
შიში არა აქვს რომელს
ათასწლოვანთა ქართა.

იმ ხიდს პოეტი აგებს,
გულებს აერთებს ასე,
და, როგორც ირმის ნახტომს,
გაჰკიდებს ციდან ცაზე.
ენთო, ანთია კვალად
ის ცისარტყელის დარად,
ანთია იგი სულში,
და იჩახჩახებს მარად.

მიემართება დროის
მდინარე შორს და ფართოდ
ნზრეულან ქვეყნად ხიდნი,
ერთი ხიდია მარტო,
ის — ურღვევი და მშვიდი,
დროის რომ არ აქვს რიდი —
ხელთუქმნელი და დიდი
ჰეროვანი ხიდი!

თარგმნა მურმან ლებანიძემ.

ლექსები დაბეჭდილია გაზეთ „პრავდაში", 11/X.

# მიეძღვნა სოფლის მუშაკთა დღეს

**საზეიმო** განწყობილება სუფევდა 11 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აქ შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოწინავე წარმოების მუშაკები, მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების მშრომელები. ისინი აქ მოვიდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

პრეზიდიუმში არიან **შ. ჭანუყვაძე, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ლელაშვილი,** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჩაძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. მეტრეველი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მინისტრები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნოვატორები, შრომის გმირები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილმა.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **მ. ლვინჯილიამ.**

სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც ჩაბმული არიან ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში, მიესალმნენ რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ქობულია,** რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ი. ხოხლოვი,** თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. ჩადუნელი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მ. საბაშვილი.**

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". (საქინფორმი).

## გამოჩენილი ბოლშევიკ-ლენინელის ხსოვნა

**ბაქო, 11 ოქტომბერი.** (საქინფორმის კორ.). აზერბაიჯანის მშრომლებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ს. გ. შაუმიანის დაბადების 90 წლისთავი. სახელოვანი ბოლშევიკ-ლენინელის ხსოვნას მიეძღვნა კრება, რომელიც დღეს გაიმართა ბაქოში.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ლენინური გვარდიის ვეტერანების მუსეიბ დადაშევსა და ალი აიდამიროვს. მათ დამსწრეთ გაუზიარეს მოგონებანი შაუმიანთან შეხვედრების შესახებ.

დღესვე შაუმიანის მუზეუმი გაიხსნა რაიონში, რომელიც რევოლუციის საქმისათვის ამ მამაცი მებრძოლის სახელს ატარებს. მუზეუმის ექსპონატები აცოცხლებენ ს. გ. შაუმიანისა და სხვა ბაქოელი კომისრების რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდებს.

## მეცნიერ-ეკონომისტთა თათბირი

**მოსკოვი, 11 ოქტომბერი.** (საქინფორმის კორ.). დღეს მოსკოვში დამთავრდა მეცნიერ-ეკონომისტთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიების კრიტიკის პრობლემებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გაიშალოს ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის კრიტიკა ეკონომიური თეორიების დარგში.

მოხსენებათა გამო გაიმართა დიდი დისკუსია. ორატორებმა აღნიშნეს პრაქტიკული ზიანი და თეორიული უსაფუძვლობა ცდებისა სახალხო მეურნეობის მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების ნაცვლად დაამკვიდრონ „თვითმმართველობის", „დეცენტრალიზაციის", „დემოკრატიული სოციალიზმის" პრინციპები, რომელთა შედეგად სინამდვილეში წარმოიშობა საბაზრო ანარქია, კრიზისები და უმუშევრობა.

თათბირმა მოუწოდა მეცნიერ-ეკონომისტებს პრესაში, ლექციურ მუშაობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პრაქტიკაში გააძლიერონ ბურჟუაზიული და რევიზიონისტული თეორიების კრიტიკა.



რთველია განახლებული სამგორის მიწაზე! სამგორელი მევენახეები წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მკრეფავთა შორის დაწინაურდა ნანა მენთეშაშვილი, იგი დღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ნ. მენთეშაშვილი. ფოტო ე. ქართველიშვილისა.

## კომკავშირელთა ინიციატივით

**ხონი.** (საქ. კორ.). ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის შესახვედრად საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს კომკავშირის რაიონული კომიტეტი. რაიკომთან არსებული კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭო აგროვებს მასალებს ძველ კომკავშირელებზე.

საბჭოს ინიციატივით ეწყობა ახალგაზრდობასთან შეხვედრები, თემატური საღამოები თემებზე „ვ. ი. ლენინი კომკავშირის შესახებ", „ლენინი და ახალგაზრდობა".

## გმირის უკვდავსაყოფად

**ტყიბული.** (საქ. კორ.). აქაური ახალგაზრდობა სათუთად ინახავს კომკავშირის ძველი თაობის წარმომადგენელთა გმირულ სახელებს.

ტყიბულში კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია შალვა ექვთიმეს-ძე სოფრომაძე. იგი იყო ენთუზიასტი კომკავშირელი, გმირულად დაიღუპა მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლის დროს. მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით ამ დღეებში ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა შ. სოფრომაძის სახელი.

საქინფორმის ცნობა

## მიფრინავს „კოსმოსი-247"

**1968 წლის 11 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-247".**

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქინფორმმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,9 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 362 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 205 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 65,4 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

# ერთი ჩირაღდანი

ნარკვევი

**ს**აქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. დგახარ მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მიჯნაზე. თვალი ბუნების სიმდიდრით და სილამაზით ვერ ძღება. ერთ მხარეზეა მწვანე ოქროს თვალუწვდენი პლანტაციები, ხოლო მეორეზე — მდინარე გუბაზოული. მდინარე სუფსისკენ დასიცხულივით მიიზლაზნება. გაჰყურებ ფიჭვნარით დაფარულ მთებს და ფერდობებს. უცებ თვალს მოჰკრავ ზურმუხტოვან წალკოტში ოქროს ბეჭედივით ჩამჯდარ ოდა-სახლს. გაკვირვებული დგახარ ბექობზე და ფიქრობ: „აი თურმე რა ახარებს გურულ გლეხს, მთაკორტოხზე განცალკევებით რომ დასახლებულა!"

გურია მხოლოდ ჩაისა და ციტრუსების სამშობლო როდია. თვალს წარიტაცებს ნამყენი თუთის ხეივნები. ბავშვობა გამახსენდა. ჩვენი სახლის პირველი სართულის ორი ოთახი, აივანი, სარდაფი დაფარული იყო ლასტებით. აბრეშუმის ჭიის დანახვაზე პირველად მაჟრჟოლებდა, მაგრამ თანდათან მივეჩვიე, ხელშიც ვიყვანდი. დედა კი მიწყრებოდა:

— ნუ იყვან, ვერ ხედავ, რა უმწეო და სათუთია. ხელში გაილახება და ყაჭს აღარ გააბამს.

მეაბრეშუმეობა საქართველოში ხომ დიდი და უძველესი ტრადიციების მქონეა, თანაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგი. ადრე იგი მხოლოდ ქალების საქმიანობას წარმოადგენდა.

თუთის ჩამწკრივებული ხეივნები მოწმობენ, რომ ჩაიზე ნაკლებად როდი მისდევენ გურიაში აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილების სულის ჩამდგმელის აბრეშუმის ჭიის გამოყვანასაც. კეთილშობილი აბრეშუმის ქსოვილისათვის — ნედლი მასალის მისაღებად კი ხარისხიანი გრენია საჭირო. ამიტომ ჩოხატაურის გზისკენ გავუხვიე. იქ საგრენაჟო ქარხანა მეგულებოდა. თანაც ასეთი ქარხანა მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ ექვსია.

ჩოხატაური პატარაა, მწვანე ნარგავებით დამშვენებული. საგრენაჟო ქარხნის მიგნება სულაც არ გაგიჭირდება. იქვეა ცენტრში. შორიდანვე შემოგცინებენ სიმბოლურად ჩამწკრივებული თუთის ნამყენები და კმაყოფილი მასპინძელივით შემოგეგებებიან. ხასხასა ფართო ფოთლებს ისე გაუშლიათ მხრები, თითქოს ზედ აბრეშუმის ჭიის ლასტებს მოითავსებენო. ეზოში შესვლ და მარჯვნივ ადმინისტრაციული შენობაა. ხოლო მარცხნივ აბრეშუმის გრენის დამზადების სხვადასხვა პროცესის საწარმოებლად ოთხი კორპუსი ჩამწკრივებულა. შიგ საამქროებია მოთავსებული.

ამ საწარმოს — ჩოხატაურის საგრენაჟო ქარხნის დირექტორია გალაქტიონ შარაშიძე, რომელსაც დამსახურებული აგრონომის სახელწოდება ჯერ კიდევ 1939 წელს აქვს მიღებული, 1947 წელს კი მარცვლეული კულტურის მაღალი მოსავლის მიღებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. მას 1949 წელს ჩაის ფოთლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მაშინ ის ჩოხატაურის რაიმიწგანის მთავარი აგრონომი გახლდათ.

იმ დღეს დირექტორთან ერთად საწარმოს ეზოში შემოგვხვდა ევგენი გვარჯალაძე, უფროსი აგრონომ-გრენიორი, დირექტორის მოადგილე ტექნიკურ ნაწილში.

ქარხნის ორივე მესვეური წინ ხალისიანად გაგვიძღვა და აბრეშუმის გრენზე ისეთი გაცხოველებული საუბარი გაგვიბეს, თითქოს პოეზიაზე გულს იჯერებენო. მაშინვე ვიგრძენი საქმისადმი მათი ნამდვილი დამოკიდებულება, თავდადება, სიყვარული.

რომელ კორპუსშიც უნდა შეხვიდე, ჯერ ათიათასობით თეთრი პარკუჭანები შემოგეგებებიან. ერთიმეორეზე აცმულები ყველა თავისი ანკეტური მონაცემებით, ჭერიდან ჩამომწკრივებულნი, გაუწყებენ როგორც დამუშავების თარიღს, ისე ჯიშს, წონას და მრავალ სხვა მონაცემებს. და ამას ყველაფერს აკეთებს ქათქათა ხალათებში გამოწყობილ ქალთა ფაქიზი ხელები.

გრენის დამზადების პროცესების დაწყებამდე ქარხანაში ხომ აუარებელი მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი. ერთი შეხედვით თითქოს გრენის მიღება უბრალო რამ არის. იმისათვის, რომ ხარისხიანი გრენი იქნეს მიღებული, წლის განმავლობაში სეზონის მიხედვით ქარხანაში მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაოები. მაგალითად: საჯიშე აბრეშუმის გრენის ინკუბაცია, პარკის შიღება და ხარისხობრივი შეფასება, პარკის შენახვა და დახარისხება, საჯიშე მასალის ხარისხობრივი შეფასება და პაპილიონაჟი, გრენის შენახვა და მიკროსკოპული გამოკვლევა ხმელ პეპელაზე, გრენის დამუშავება და დაზამთრება, გრენის შეფუთვა და მარკირება და მრავალი სხვა.

— როდესაც 1957 წელს ჩვენს ქარხანაში გალაქტიონ შარაშიძე დირექტორად დანიშნეს, სულ 33 საშტატო ერთეულით მუშაობდა, — ამბობს ევგენი გვარჯალაძე, — მისი თაოსნობით ათი კაცი მოგვემატა, ხოლო სამუშაოს მასშტაბებიც საგრძნობლად გაგვეზარდა.

— ჩვენი ქარხანა ბევრ რაიონს ემსახურება, შიგ ჩოხატაურში კი ამარაგებს შვიდ კოლმეურნეობას, რომლებიც ჩვენ საჯიშე უბნებად ითვლებიან, — თავაზიანად შეაშველა სიტყვა თვითონ გალაქტიონმა. — ჩვენ მიერ დამზადებული გრენი-თესლი იგზავნება ქუთაისის მაცივარში, მაცივარი კი უგზავნის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კერძოდ მეაბრეშუმეობის სამმართველოს, რომელიც თესლის საკითხს არეგულირებს და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონს უგზავნის.

**უ**ურადღება კუთხეში ამაყად აღმართულმა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მიღებულმა სამახსოვრო დროშამ მიიპყრო და ფიქრებიც უნებლიეთ გეგმების შესრულებას დაუკავშირეთ. მართლაც, ჩოხატაურის გრენის დამამზადებელი ქარხანა ყოველ წელს გეგმებს საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს. 1968 წელსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ორი გამოკვების (ზაფხულის და გაზაფხულის) მაგივრად აწარმოეს მხოლოდ ერთი — გაზაფხულის გამოკვება, გეგმა მაინც გადაჭარბებით, 114 პროცენტით შეასრულეს, 210 ცენტნერი გრენის მაგივრად 240 ცენტნერი დაამზადეს.

— ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქარხნის სათითაოდ ყოველ მუშას, სპეციალისტს, აგრომიკროსკოპისტს, — დინჯად წამოიწყო ისევ გალაქტიონმა, — უმრავლესობას უკვე დიდიხნის გამოცდილება აქვს და ძალღონეს არ იშურებენ, რომ ჩვენი ქარხანა რესპუბლიკაში პირველთა რიგებში იდგეს. განსაკუთრებით კი...

და მიგვიყვანა ჭაღარა, ქათქათა ხალათში გამოწყობილ ზინა ჯინჭარაძესთან, რომელმაც თავისი ლამაზი ახალგაზრდობა ჯერ კიდევ პრიმიტიულად მოწყობილ საგრენაჟო ქარხანაში მიიტანა და დღიდან ქარხნის დაარსებისა, ესე იგი 1933 წლიდან აგროტექკონტროლიორად პირნათლად ემსახურება გრენის გამომუშავებას.

ზინა ჯინჭარაძეს არ ჩამორჩებიან სხვა ქალებიც. აი თუგინდ აგროტექმიკროსკოპისტები მაგული ანთიძე, ლოლა კუტუბიძე, მადული ძნელაძე, თალიკო მახარაძე და მრავალი სხვა, რომლებიც გრენის დამუშავების ყველა პროცესზე უყოყმანოდ მუშაობენ და ამ საქმის ისეთი დიდი ოსტატები გახდნენ, რომ თვითეული მათგანი გეგმას ყოველთვის ხარისხიანად და გადაჭარბებით 118-125 პროცენტით ასრულებს.

— ჩვენს ქარხანაში მამაკაცთა რიცხვი მეტად მცირეა, რადგან გრენის დამუშავება უფრო ქალის ნაზ თითებს ეხერხება, — განაგრძობს გ. შარაშიძე, — აბრეშუმის პარკიდან დაწყებული გრენის მიღებამდე იმდენი ჩაკირკიტებული შრომაა საჭირო, რომ მხოლოდ ქალის ნებისყოფას შეუძლია გაუძლოს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქარხანას ჰყავს სპეციალური საშუალო განათლების მქონე აგროტექმიკროსკოპისტი უშანგი რამიშვილი, რომელიც 35 წელიწადია ქარხნის კეთილი სახელისათვის იბრძვის. იგი პარტორგანიზაციის მდივანია. წარმოებაში შესანიშნავად უზრუნველყოფს კომუნისტების ავანგარდულ როლს, დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდის საკითხს.

— ზოგში აბრეშუმის ჭია შეიძლება უსიამოვნო შეგრძნებას იწვევდეს, ჩვენს კოლექტივს კი გულწრფელად უყვარს თავისი საქმე და დიდი ენთუზიაზმითაც ეუფლება მას, — ენაწყლიანად ლაპარაკობს ევგენი გვარჯალაძე. — ერთი პროცესიდან მეორეზე თითქოს შემოქმედებითად გადავდივართ, მაგრამ ჩვენს მუშაობასაც ახლავს ხარვეზები. ეს იმიტომ, რომ ჩვენ სისტემაში შედარებით ნაკლებია უკანასკნელი ტექნიკის სიახლენი. ზოგიერთ შემთხვევაში მეტად მოძველებული, შეიძლება ითქვას პასტერის დროინდელი სანგითაც ვმუშაობთ. ჩვენს ქარხანას აუცილებლად ესაჭიროება მტვერსასრუტავი მოწყობილობა, ვინაიდან პეპლის ფრთების ქერცლის მტვრისაგან ბუღი დგება, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნებელია. განა ტენისა და ტემპერატურის მარეგულირებელი მოწყობილობის უქონლობა პროდუქციის ხარისხის დაცემაზე არ ახდენს გავლენას?

— ამ საყვედურს მეც ვუერთდები, — ღიმილით უდასტურებს გ. შარაშიძე. ის ხომ რაიონში უანგარო და კეთილსინდისიერ მუშაკად არის აღიარებული. ამხანაგი გალაქტიონი, გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა, დიდ საზოგადოებრივ საქმესაც უძღვება, ის ჩოხატაურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ხშირადაც იმყოფება რაიონში, მაგრამ ევგენი გვარჯალაძე ქარხანაში საიმედო საყრდენია. — ჩვენი უფროსი აგრონომ-გრენიორი ე. გვარჯალაძე ახალგაზრდაა, მაგრამ შესანიშნავი სპეციალისტია.

სტოვებ საგრენაჟო ქარხანას... თუთის ჯიშიანი ხეები კი თავაზიანად გაცილებენ, ხოლო მსუბუქად მქროლი სიო ბრტყელ, ხასხასა ფოთლებს ნაზად აშრიალებს და უნებურად თითქოს მათი ჩურჩულიც გესმის: „უჰ, რამდენი ვართ, რამდენი, აბრეშუმის სიფრიფანა ჭიის ნოყიერი საკვები!"

თამარ ლვინიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალურ ასამბლეაზე



**ნიუ-იორკი**, 11 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ე. ბასკაკოვი და ქ. ბელიაევი იუწყებიან: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გაგრძელდა საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა ზამბიის საგარეო საქმეთა მინისტრი **რუბენ კამანგა**, რომელმაც მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მტკიცედ დაიცვას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. მან ნატოს ქვეყნებს ბრალად დასდო, რომ ეხმარებიან რასისტულ რეჟიმებს აფრიკის ერების ჩაგვრაში და ხელს უწყობენ პორტუგალიელ კოლონიზატორებს, რომლებიც ცდილობენ იარაღით ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ანგოლასა და მოზამბიკში. კამანგამ შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და დაგმო ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში **აბდულ რაჰმან პაჟვაკმა** დაგმო არაბთა ტერიტორიების ძალით დაპყრობა ისრაელი მილიტარისტების მიერ და ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მან იმედი გამოთქვა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პარიზის შეხვედრებს მოჰყვება სისხლისღვრის შეწყვეტა.

მავრიტანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰამდი ულდ მუკანასმა** ისრაელის მიერ არაბთა ტერიტორიების ოკუპაციას „საერთაშორისო სიონიზმის შეთქმულება“. უწოდა. ალარ უნდა შევურიგდეთ იმას, თქვა მან, რომ ისრაელი აგრესორები უგულებელყოფენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას და უშიშროებას. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანონ საოკუპაციო ჯარები არაბთა დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იჰსან საბრი ჩაგლაიანგილმა** თქვა, რომ ისრაელის მიერ არაბთა ტერიტორიების ოკუპაციამ საფრთხე შეუქმნა მთელი ახლო აღმოსავლეთის მშვიდობას. მან განაცხადა, რომ თურქეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შესრულდეს უშიშროების საბჭოს ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგების საფუძველია.

**ნიუ-იორკი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი **კურტ ვალდჰაიმი**. მან თავისი მთავრობის სახელით შეშფოთება გამოთქვა მსოფლიოში არსებული დაძაბულობის გამო. მინისტრმა აღნიშნა, რომ მის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შეწყდეს ომი ვიეტნამში ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისი მოწესრიგდეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ავსტრიის მინისტრი მიესალმა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, რომელსაც ამჟამად ხელი მოაწერა ოთხმოცზე მეტმა სახელმწიფომ.

ვალდჰაიმმა დაგმო აპარტეიდის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში და განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ ცნობს იან სმიტის რასისტულ რეჟიმს სამხრეთ როდეზიაში.

ამასთანავე ავსტრიის მინისტრი ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირის მოქმედებას ჩეხოსლოვაკიის ამბებთან დაკავშირებით „დაერღვიოს ევროპაში დამყარებული წონასწორობა“.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იანოშ პეტერმა** აღნიშნა, რომ მთავარი ფაქტორი, რომელიც აწვავებს საერთაშორისო მდგომარეობას, — ეს არის ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. უნგრეთის დელეგატმა განაცხადა, რომ, სანამ ეს ომი გრძელდება, ძნელი იქნება რეალური პროგრესის მიღწევა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის საქმეში. შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა პარიზის შეხვედრებს, ი. პეტერმა განაცხადა, რომ ამ შეხვედრებს მშვიდობიანი მოწესრიგება შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის მთავრობა შეწყვეტს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვას. პეტერმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიაღწიოს იმას, რომ განხორციელდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას არაბეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახასიათა ევროპაში შექმნილი ვითარება და აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უნდა ცნოს ვითარება, რომელიც რეალურად შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, და გაითვალისწინოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი.

ბოლივიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ხ. ალკორეზამ** თავის გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა ეკონომიურად უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა გააფართოონ საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა და მეტი დახმარება გაუწიონ განვითარებად სახელმწიფოებს. მან მხარი დაუჭირა აგრეთვე იდეას, რომ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება, რომლის შესაბამისად ზღვებისა და ოკეანეების ფსკერი უნდა გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით ყველა სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ბოლივიის წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს ყოველნაირად შეუწყონ ხელი საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებას და გამოთქვა აზრი, რომ ყველა სახელმწიფომ დაიცვას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, უარი თქვას ძალის პოზიციებიდან საერთაშორისო დავის გადაწყვეტაზე.

სესიაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნიგერიის, კოლუმბიისა და ჰონდურასის საგარეო საქმეთა მინისტრები.

ამით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საღამოს სხდომა. სესია მუშაობას განაახლებს ორშაბათს, თოთხმეტ ოქტომბერს.

● გდრ

## მარქსისტთა საერთაშორისო შეხვედრა

**ბერლინი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). 9-11 ოქტომბერს ბერლინში მოეწყო აზრთა გაზიარება განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის როლის შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. აზრთა გაზიარება მოაწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიულმა და საინფორმაციო ჟურნალმა „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, ბრაზილიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დასავლეთ გერმანიის, საბერძნეთის, დანიის, ირანის, ესპანეთის, იტალიის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიული დარგის მუშაკები.

გაშლილ დისკუსიაში დასვეს და განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: მუშათა კლასის შემადგენლობა და სტრუქტურა; ფიზიკური და არაფიზიკური შრომის მუშაკთა ეკონომიური მდგომარეობა; ავტომატიზაციის გავლენის ასპექტები; ინტელიგენციაში, მათ შორის სტუდენტებში მომხდარი ცვლილებანი; მუშათა კლასის სოციალური და პოლიტიკური შეგნების და აქტივობის ახალ მიმართულებათა პრობლემები; კლასობრივი ბრძოლის პრობლემები თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში. განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მუშათა კლასის როლთან განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში.

გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა სარგებლობა მოაქვს მარქსისტების მიერ აქტუალური თეორიული პრობლემების ერთობლივ განხილვას.

ბულგარეთი

## კომპასია მარქსიზმ-ლენინიზმი

**სოფია**, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ახლანდელი რთული ეპოქა მოითხოვს, რომ ყოველთვის ვხელმძღვანელობდეთ ერთადერთი სწორი კომპასით — მარქსიზმ-ლენინიზმით, განაცხადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს, გუშინ მან სიტყვა წარმოთქვა სოფიის კომკავშირული აქტივის კრებაზე. კრებაზე იყვნენ აგრეთვე ცოლა დრაგოიჩევა, ტოდორ პავლოვი, სტანკო ტოდოროვი და ბულგარეთის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელები.

შეეხო რა ძალთა ახლანდელ თანაფარდობას მსოფლიო ასპარეზზე, ტ. ჟივკოვმა ხაზი გაუსვა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას. „მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომლის მთავარი ძალაა საბჭოთა კავშირი, წარმატებით ასრულებს თავის დიად ისტორიულ მისიას“, — თქვა ორატორმა.

ტოდორ ჟივკოვი შეეხო აგრეთვე ბულგარეთის საშინაო განვითარების პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ მეოთხედ საუკუნეზე ნაკლები დროის მანძილზე ბულგარელმა ხალხმა კომპარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების უანგარო დახმარებით შექმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გახდა ბულგარეთის კომპარტიის მე-9 ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გაბედულ პერსპექტიულ გადაწყვეტილებათა რეალური საფუძველი.

● ამერიკის შეერთებული შტატები

## რეკორდული სამხედრო ბიუჯეტი

**ვაშინგტონი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ კონგრესმა დაამტკიცა ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი შეერთებული შტატების ისტორიაში. ჯერ წარმომადგენელთა პალატამ, შემდეგ კი სენატმა მოიწონეს ასიგნებანი 71,9 მილიარდი დოლარის ოდენობით შეერთებული შტატების 1969 საფინანსო წლის სამხედრო ხარჯებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის კანონპროექტი ახლა ხელმოსაწერად გაეგზავნა პრეზიდენტ ჯონსონს.

## სამხედრო გადატრიალება პანამაში

**ნიუ-იორკი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). პანამაში ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო ხუნტამ პოდპოლკოვნიკ ომარ ტორიხოსის მეთაურობით. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ეროვნული გვარდიის, პანამაში ერთადერთი შეიარაღებული ძალის ქვედანაყოფებმა 11 ოქტომბერს ღამით დაიკავეს პრეზიდენტის სასახლე დედაქალაქში და სტრატეგიული პუნქტები პანამის მთელ ტერიტორიაზე. პანამის პრეზიდენტი არნულფო არიასი, რომელმაც პოსტი მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს დაიკავა, არსებული მონაცემებით, მიიმალა პანამის არხის ზონაში, რომელსაც კონტროლს უწევს შეერთებული შტატები. რადიოსადგური, რომელიც მხარს უჭერს არიასს, დაიკავეს ეროვნულმა გვარდიელებმა. პანამაში დაძაბული ვითარებაა.

არნულფო არიასი აქამდე ორჯერ იყო არჩეული პრეზიდენტად და ორივეჯერ — 1941 და 1951 წლებში — ჩამოაგდო ეროვნულმა გვარდიამ მისი უფლებამოსილების ოთხი წლის ვადის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე.

უკანასკნელ არჩევნებში, 1968 წლის მაისში, მან მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა მთავრობის კანდიდატის წინაშე. მაგრამ თავისი გამარჯვების ნაყოფით ისარგებლა მხოლოდ შეიარაღებული ძალების ზედა ფენასთან კომპრომისისა და დაპირისპირების წყალობით. რომ არ განახორციელებდა რეპრესიებს სამხედროების წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც კი არიასმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, დაიწყო ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობის მასობრივი წმენდა, გადააყენა ბევრი სამხედრო მოხელე, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან მას, ზოგიერთი მათგანი კი საზღვარგარეთ გაგზავნა. ტორიხოსი, კერძოდ, დანიშნული იყო სამხედრო ატაშედ სალვადორში.

## განაჩენი გამოუტანეს

**ნიუ-იორკი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). სამხედრო ტრიბუნალმა ბრუკლინში (ნიუ-იორკის რაიონი) სამხედრო-საზღვაო ავიაციის მფრინავს ფრედ პატრიკს 6 თვის პატიმრობა მიუსაჯა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. ფორმალურად პატრიკს ბრალდებად წაუყენეს ბაზის „თვითნებურად მიტოვება“. მაგრამ პატრიკი არ მალავდა თავის ომის საწინააღმდეგო პოზიციებს და სასამართლოში კვლავ პროტესტი განაცხადა ვიეტნამის მიმართ ავანტიურის წინააღმდეგ, და თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამს უნდა გაეცალოს.

სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიეცემა აგრეთვე რიგითი ჯარისკაცი რობერტ კომაიკი — პატრიკის გასამართლების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. კომაიკი დააპატიმრეს და გაგზავნეს ფორტ-ლის სამხედრო ბაზაში, სადაც იგი მსახურობს.

## გაუშვეს „აპოლონ-7“

**ნიუ-იორკი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კენედის კონცხიდან გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-7“, რომელშიც სამი კოსმონავტია. ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან კოსმონავტები უოლტერ შირა (ეს მისი მესამე კოსმოსური გაფრენაა), დონ ეიზელი და უოლტერ კანინგემი. გაშვების მიზანია ხომალდის სისტემების დამუშავება და კოსმონავტების წვრთნა ხანგრძლივი ფრენის დროს. პროგრამის თანახმად, ფრენა რამდენიმე დღე-ღამეს უნდა გაგრძელდეს.

## მხოლოდ ფაქტები

□ **პრაღა**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის „პრაღა-9“ რაიონის ზოგიერთი საქარხნო ორგანიზაციის თავმჯდომარეთა და მუშაკების კრება, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა. მან ილაპარაკა მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებზე და ჩამოაყალიბა პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები მიმდინარე პერიოდში.

□ **ჰანოი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჰანოიში 13 საათსა და 45 წუთზე გამოცხადდა საჰაერო განგაში. საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა ცეცხლი დაუშინეს ამერიკის თვითმფრინავს, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა.

□ **ლაიფციგში** მიმდინარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა მე-4 ყრილობა. ყრილობას ესწრებიან უცხოელი სტუმრები, მათ შორის საბჭოთა ისტორიკოსების დელეგაცია.

ძირითად მოხსენებათა თემებია ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობაში და გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის მნიშვნელობა.

□ **ნაირობი**. აქ გამოქვეყნებული სტატისტიკური კრებულის მონაცემებით, კენიის მოსახლეობა ამჟამად 10.209.000 კაცს შეადგენს.

## ისრაელი უხეშად არღვევს შეთანხმებას

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იორდანიის წარმომადგენლობის წერილი

**ნიუ-იორკი**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი იმის გამო, რომ ისრაელი არღვევს დაზავების შეთანხმებებს ვადი-არაბის რაიონში, მკვდარი ზღვის სამხრეთით.

**მიმდინარე** წლის უკანასკნელ თვეებში, აღნიშნულია წერილში, ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა არაერთხელ გადაკვეთეს დაზავების ხაზი და შეიჭრნენ იორდანიის ტერიტორიის სიღრმეში, თავს ესხმოდნენ სამოქალაქო მოსახლეობას.

გარდა ამისა, ისრაელის ხელისუფლებმა შეუდგნენ დაზავების სადემარკაციო ხაზის შეცვლას აქაბის რაიონში და კვლავ ხელყოფენ იორდანიის ტერიტორიას.

1968 წლის 16 სექტემბერს იორდანიამ მოითხოვა მოეწვიათ დაზავების შერეული კომისიის საგანგებო სხდომა ამ სასწრაფო საკითხის განსახილველად.

მაგრამ ისრაელის მიზეზით ეს სხდომა არ გამართულა. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ისრაელის წარმომადგენლებმა უარი თქვეს დასწრებოდნენ სხდომას, „რამდენადაც ისრაელი აღარ ცნობს 1949 წლის დაზავების საერთო შეთანხმებას“.

ისრაელმა უარყო აგრეთვე თხოვნა საშვი მიეცათ იორდანიის თანამდებობის პირთათვის კომისიის სხდომის ადგილზე მისასვლელად.

როგორც აღნიშნულია იორდანიის წარმომადგენლობის წერილში, ისრაელმა დენონსაცია უყო დაზავების საერთო შეთანხმებას და უყურადღებოდ ტოვებს რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ისრაელის უარი ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის საქმიანობას ამ რაიონში, აგრეთვე ისრაელის ჯარების მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაცია ასახავს იმას, რომ ისრაელი პატივისცემით არ ეკიდება საერთაშორისო შეთანხმებებს. ეს მკვეთრად ეწინააღმდეგება ისრაელის უკანასკნელ განცხადებებს მშვიდობის შესახებ.

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

## ნატო თათბირობს

**ბონი**, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ბონში დამთავრდა ნატოს ატომური დაგეგმვის ჯგუფის ორი დღის სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრები და შტაბების უფროსები. სხდომის დასასრულს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კლიფორდმა მიმოიხილა „ამერიკის შეერთებული შტატების ატომური დაგეგმვის მდგომარეობა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანაფარდობა ამ დარგში“.

დასკვნით კომუნიკეში ნათქვამია, რომ ნატოს ქვეყნების მინისტრებმა განაგრძეს თათბირები ატომურ საკითხებზე და შეიმუშავეს „ატომური დაგეგმვის სრულყოფის“ დირექტივები.

## ფოტოეკრანი



□ **აკორდეონი**, რომელსაც სურათზე ხედავთ (მარცხნივ ზემოთ), გაკეთებულია ბრიუსელში (ბელგია). ეს აკორდეონი ყველაზე დიდია ამ სახის ინსტრუმენტებს შორის. „აკორდიოლა“, ასე უწოდეს ამ ინსტრუმენტს, რომელსაც აქვს 857 ძირითადი და 500-მდე ბანის კლავიში. მისი სიმაღლე — 160 სანტიმეტრია და 60 კილოგრამს იწონის.

ფოტო „ლიბრ ბელჟიკ“ — ახალი ამბების სააგენტოსი.



□ **ამას წინათ** ბონის ბეტორის ვაგზალი რამდენიმე საათის განმავლობაში პანიკით იყო მოცული. ერთ-ერთი ვაგონის სახურავზე ცეკვავდა „ჰაგენბაკის“ ცირკიდან გაქცეული მურა ძუ დათვი „ბალერინა“ (სურათზე მარჯვნივ ზემოთ). მართალია, დათვი კარგად იყო დაუფლებული ცეკვას, მაგრამ გაქცეული „ბალერინას“ ცეკვა მნახველებს შიშს გვრიდა. იგი მალე დააწყნარეს სპეციალური თოფით ნასროლი ისრით, რომელიც დასაძინებელი წამლით იყო დატენილი.

ფოტო „უნიტა“ — ახალი ამბების სააგენტოსი.



□ **ძუძუმწოვართა** შორის სპილოების შემდეგ ყველაზე დიდია თეთრი და შავი მარტორქა. მათი სიგრძე 4,5 მეტრს აღწევს, ხოლო წონა 2,5 ტონას აღემატება. თეთრი მარტორქები ძალიან იშვიათია. ისინი გარეული ცხოველები არიან და სამხრეთ აფრიკაში ბინადრობენ. თეთრი მარტორქები არც თუ იშვიათად თავს ესხმიან ადამიანებს.

**სურათზე**, რომელიც აღებულია ფრანგულ ჟურნალ „სიანს ე ვუაიაჟიდან“, აღბეჭდილია თეთრი მარტორქა (მარცხნივ, ქვემოთ).



□ **კარამოჯას** ტომი, რომელიც მომთაბარეობს ჩრდილოეთ უგანდის (აღმოსავლეთი აფრიკა) ძნელად მისადგომ რაიონებში სუდანისა და კენიის საზღვრების გასწვრივ, ერთ-ერთი მეომარი და ნაკლებად შესწავლილი ტომია აფრიკაში.

როდესაც უდაბნოს გავლით ქალაქში ან ბაზარში წასვლაა საჭირო, რომელიც ხშირად სოფლიდან ათობით კილომეტრით არის დაშორებული, კარამოჯელ ქალებს თან მიაქვთ კვახისაგან გაკეთებული ჭურჭლით რძისა და წყლის მარაგი.

**სურათზე**: გზად ქალაქისაკენ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## ფიდელ კასტროს გამოსვლა

კუბა

**ჰავანა**, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დაბა დემახაგუაში (ორიენტეს პროვინცია), სადაც 100 წლის წინათ — 1868 წლის 10 ოქტომბერს დაიწყო აჯანყება ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, გუშინ გაიმართა ამ სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

დაახასიათა რა 100 წლის ბრძოლის ეტაპები, კასტრომ დაგმო ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც ესპანეთის კოლონიალიზმი შეცვალა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თქვა მან, გათელა კუბის სუვერენიტეტი, ხელთ იგდო მისი ეკონომიკა და გაბატონდა ქვეყანაში.

ისევე როგორც ჩვენმა წინაპრებმა მოუღეს ბოლო მონობას, 1959 წლის ჩვენს რევოლუციას ბოლო უნდა მოეღო უცხოეთის მონოპოლიათა ბატონობისათვის. 1959 წლის შემდეგ, თქვა კასტრომ, ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისახა ისეთივე ძნელი ამოცანები — ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ბლოკადისა და იდეოლოგიის, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. აჯამებს რა ასი წლის ბრძოლის შედეგებს და პატივისცემით იგონებს მებრძოლ წინაპრებს, განაცხადა დასასრულ პრემიერ-მინისტრმა, კუბელი ხალხი კანონიერ სიამაყეს განიცდის: ჩვენს კონტინენტზე მან უკანასკნელმა ჩამოიშორა კოლონიალიზმის უღელი, მაგრამ პირველმა მოუღო ბოლო იმპერიალიზმის ბატონობას და დასავლეთის ნახევარსფეროში გახდა პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

● პოლონეთი

## ზეიმი ვარშავაში

**ვარშავა**, 12 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გუშინ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის სახალხო ჯარის 25-ე წლისთავს. სხდომას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, სრულიად პოლონეთის ხალხის ერთობის ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის მარშალი მ. სპიხალსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და სხვა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკოს მეთაურობით.

სხდომა გახსნა მ. სპიხალსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონელი მეომრები მეგობარ არმიათა მეომრებთან ერთად ფხიზლად დგანან პოლონეთისა და მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების მონაპოვართა სადარაჯოზე.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ვ. გომულკამ, ა. ა. გრეჩკომ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვ. იარუზელსკიმ.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„დეილი უორლდი“

## ულტრები ძალაუფლებისაკენ მიილტვიან

ამერიკელ მშრომელთა გაზეთ „დეილი უორლდში“ გამოქვეყნებულია მაიკ დავიდოვის სტატია, რომელიც მოგვითხრობს ამერიკის უკიდურესად მემარჯვენე ელემენტების საქმიანობის მზარდ საშიშროებაზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

რეპრესიებისა და ულტრამემარჯვენე პროპაგანდის ახალი ტალღა წალეკვით ემუქრება ჩვენს ქვეყანას. ეს ტალღა შეიძლება უფრო დამღუპველი აღმოჩნდეს, ვიდრე მაკარტიზმი იყო 50-იან წლებში. ამას მრავალი შემაშფოთებელი ფაქტი მოწმობს.

მშვიდობისადმი მისწრაფება, რომელმაც ფართო გამოხატულება ჰპოვა ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, სასტიკად ჩაახშეს ჩიკაგოში. მიმდინარე წლის აგვისტოს სისხლიანი ამბების შემდეგ ულტრამემარჯვენეთა ხმა სულ უფრო მძლავრად და მტკიცედ გაისმის, ვიდრე ოდესმე ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

ქვეყნის შინაპოლიტიკური ცხოვრების უკიდურესად გამწვავების მაჩვენებელია პოლიციის მოქმედება რასისტული და ფაშისტური ტრადიციების მიხედვით. იგი ძალით ახშობს შავკანიან და თეთრკანიან ამერიკელთა ყოველგვარ გამოსვლას ვიეტნამში აგრესიისა და ამერიკის ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკის პოლიციის კომისარმა ჰოვარდ ლერიმ თავის ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიციელები, რომლებიც ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებისა და დაჯგუფებათა აქტიური წევრები არიან, თითქოს „ასახავენ საზოგადოების აზრს“ და „გულისხმიერ რეაგირებას ახდენენ იმაზე, რაც საზოგადოებას აწუხებს“.

გამოვიდა რა „ამერიკის ლეგიონის“ ყრილობაზე ახალ ორლეანში, ახალი ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი პარტიის“ ლიდერმა ალაბამელმა რასისტმა ჯორჯ უოლესმა ყოფილ მთავრობებს ბრალად დასდო, რომ ისინი „ქედს იხრიდნენ ყოველი ანარქისტისა და რევოლუციონერის წინაშე ჩვენს ქვეყანაში“. ლეგიონერებმა დიდი აღფრთოვანებით მოიწონეს თავიანთი იდეური ბელადის გამოსვლა.

პოლიციელები, უოლესს რომ მხარს უჭერენ, ცდილობენ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ ქვეყანაში მოვლენათა განვითარება. ამას მოწმობს ის ფაქტი, თუ როგორ ჯალათურად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს ჩიკაგოსა და ბრუკლინში. ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატიდან რასისტი უოლესი ამერიკელ პოლიციელთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ულტრამემარჯვენეები ცდილობენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამერიკელთა უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მათი გულგატეხილობა როგორც დემოკრატიულ, ისე რესპუბლიკურ პარტიაში.

მიმართავენ რა რასისტულ გადმონაშთებსა და ობივატელთა შიშს, ისინი აყენებენ თავიანთ ალტერნატივას — „მესამე პარტიას“, რომელიც წინააღუდგება არსებულ ორ პარტიას, „ტყუპებივით რომ გვანან ერთმანეთს“ და ეს ადამიანები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ იმდენად, რამდენადაც უახლოვდება ერთმანეთს ჰემფრისა და ნიქსონის, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებისაგან პრეზიდენტობის კანდიდატების, შეხედულებები ძირითად პრობლემებზე. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ უოლესს შეუძლია მიიღოს ხმების ოცამდე პროცენტი. უკანასკნელმა გამოკითხვამ, რომელიც ჰელაპის ინსტიტუტმა მოაწყო, დაადასტურა უოლესის მზარდი პოპულარობა პროფკავშირების წევრთა შორის. მას ხმას აძლევს ქვეყნის პროფკავშირების წევრთა 15 პროცენტი. ვარაუდობენ, რომ სამხრეთ შტატებში ამ რიცხვმა შეიძლება ორმოცდაათ პროცენტს მიაღწიოს.

უოლესის გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩიკაგოსა და მაიამი-ბიჩში გამართულ ყრილობებზე. ჰემფრის რეაქცია პოლიციის მოქმედებაზე, დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ ჩიკაგოს მერის დეილისათვის გამოცხადებული მადლობა, კარგად ორგანიზებული კამპანია მის მხარდასაჭერად — ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჰემფრის სურს მეტოქეობა გაუწიოს ნიქსონს უოლესის მხარდამჭერის მიღწევით. არსებობს იმის წინაპირობა, რომ მარჯვნივ მოძრაობა წარმოსახონ როგორც ამერიკელი ხალხის ნების გამოხატულება.

მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამერიკელ ამომრჩევლებს ყველაზე მეტად ვიეტნამის წინააღმდეგ ომი აწუხებთ: ამას მოწმობს ფართო მოძრაობა იუჯინ მაკარტის მხარდასაჭერად, რომელიც სასტიკად ჩაახშო ხელისუფლებამ.

ჩიკაგოს ამბებმა გვიჩვენეს, თუ რა არის აუცილებელი ნამდვილად ეფექტური მასობრივი მოძრაობის შექმნისათვის, რომელიც შეძლებდა პროფაშისტური ელემენტებისაგან მომდინარე მზარდი საშიშროების შეჩერებას. ლაპარაკია ამომრჩეველთა მძლავრ გაერთიანებულ მოქმედებაზე, იმ საშიშროების წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში გამოწრთობილ ერთიანობაზე, რომელსაც დღეს ქალაქ ჩიკაგოს მერი განასახიერებს.

# გუშინ მეხიკოში აინთო ოლიმპიური კოცონი

1968 MEXICO

მეხიკო, 12 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დადგა მე-19 ოლიმპიური ასპარეზობის გახსნის დღე, რომელსაც ზუსტად ოთხი წელი მოელოდა ათასობით სპორტსმენი და მათი მილიონობით გულშემატკივარი. დაიწყო სპორტის მსოფლიო დღესასწაული!

როგორც ყოველგვარ დიდ დღესასწაულს შეეფერება, იგი აღნიშნა მექსიკის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე თითქმის ასი ათასმა ადამიანმა, მას გადასცემდნენ ტელევიზიის არხებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მის შესახებ დაწერს, ალბათ, მსოფლიოს ყველა გაზეთი. (ოლიმპიური ასპარეზობის აღწერას აპირებს დაახლოებით ოთხი ათასი ჟურნალისტი, ორჯერ მეტი, ვიდრე ვარაუდობენ). მექსიკელი ხალხის სახელით ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმება პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი, ხოლო ოლიმპიადის ცეცხლის ანთება მიენდო პირველად ოლიმპიადის ისტორიაში ქალს — 20 წლის ენრიკეტა ბასილიოს.

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა გაიარა გზა ოლიმპიადის სამშობლოდან — ძველი ელადიდან მექსიკის დედაქალაქამდე, და შვიდი ათასი კაციდან უკანასკნელმა ატარა ამ ახალგაზრდა მექსიკელმა. ჩირაღდნის გზა გადიოდა არა მარტო ხმელეთსა და ზღვაზე, არამედ ადამიანთა გულშიც იმიტომ, რომ ოლიმპიადა ეს მარტო სპორტი როდია, ეს არის ადამიანთა მეგობრობის, მშვიდობისადმი მათი სწრაფვის ამაღლებელი სიმბოლო.

ოლიმპიური ასპარეზობა მთელი დედამიწის ყურადღებას იპყრობს. ეს აჟიოტაჟი როდია. სპორტი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ადამიანთა ცხოვრებაში, მოაქვს მათთვის ჯანმრთელობა, სიხარული. ადამიანი დაუცხრომლად ესწრაფვის ახალ მიღწევებს შრომაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, და სპორტშიც არა ნაკლებ ვლინდება მისი ეს დაუშრეტელი სურვილი.

## სპორტის მსოფლიო ზეიმი

მე-19 ოლიმპიადაზე შეიკრიბნენ საუკეთესოთაგან საუკეთესო სპორტსმენები, ისინი, ვინც კვლავ და კვლავ ადასტურებს, თუ რა უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი ფიზიკურ სრულყოფაში, იმ ჭეშმარიტების ხორცშესხმაში, რომელიც თავისი ასაკით თვით ოლიმპიადებზე ახალგაზრდა როდია. ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია. სხვათა შორის, ოლიმპიურ ასპარეზობებში არასოდეს არ ყოფილა ამდენი მონაწილე — თითქმის რვა ათასი!

მეხუთედ გამოდის ოლიმპიურ სარბიელზე საბჭოთა გუნდი. ჩვენი სპორტსმენები — ისინი ოთხასზე მეტია — მონაწილეობენ პროგრამის ყველა სახეობის შეჯიბრებაში, გარდა ფეხბურთისა და ბალახის ჰოკეისა. 1.067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლიდან რამდენს მოიპოვებენ ისინი? არა, მოდით ნუ ვიმკითხავებთ! პროგნოზების დრო უკვე დამთავრდა, დამთავრდა იმ ამბების თხრობაც, თუ როგორ არიგებდნენ სპორტსმენები ავტოგრაფებს, როგორ უცვლიდნენ სამკერდე ნიშნებს გულშემატკივრები, როგორ არის მორთული ქუჩები და სტადიონები, დამთავრდა სხვა „მეორეხარისხოვანი“ საქმეებისა და საზრუნავის აღწერა. იწყება ნამდვილი, გრანდიოზული საქმე, რომელსაც ჰქვიან ოლიმპიადა.

13 ოქტომბერი ოლიმპიადის პირველი სამუშაო დღეა.

## ასპარეზობის აფიშა

აფროსნობა — 14-17 ოქტომბერი; 19-21.
ბალახის ჰოკეი — 13-21 ოქტომბერი, 23-26.
ველორბოლა — ტრეკი — 17-21 ოქტომბერი; გზატკეცილი — 15,23 ოქტომბერი.
თანამედროვე ხუთჭიდი — 13-17 ოქტომბერი.
კალათბურთი — 13-16 ოქტომბერი; 18-20, 22,25.
კრივი — 13-24 ოქტომბერი; 26.
მძლეოსნობა — 13-20 ოქტომბერი.
ნიჩბოსნობა (აკადემიური) — 13 ოქტომბერი; 15, 17-19.
ნიჩბოსნობა (ბაიდარები) — 22-25 ოქტომბერი.
სროლა (სტენდი) — 18-23 ოქტომბერი.
სროლა (ტყვია) — 18-19 ოქტომბერი; 21-23.
ტანვარჯიში — 21-26 ოქტომბერი.
ფარიკაობა — 15-25 ოქტომბერი.
ფეხბურთი — 13-18 ოქტომბერი; 20, 22, 24, 26.
ფრენბურთი — 13-17 ოქტომბერი, 19-21, 23-26.
ცურვა — 17-26 ოქტომბერი.
ცხენოსნობა — 16-21 ოქტომბერი; 23-25, 27.
ძალოსნობა — 13-19 ოქტომბერი.
წყალბურთი — 14-17 ოქტომბერი; 19-26.
წყალში ხტომა — 17-20 ოქტომბერი; 22-26.
ჭიდაობა (თავისუფალი) — 17-20 ოქტომბერი.
ჭიდაობა (კლასიკური) — 23-26 ოქტომბერი.

## ოლიმპიადა ეკრანზე

ოლიმპიურ ასპარეზობებს ჩვენი ქვეყნის ტელემაყურებლები ნახავენ რეგულარულად. მათ გადასცემს ცენტრალური ტელევიზია. გაცნობებთ გადაცემათა დაწყების დროს 14-დან 20 ოქტომბრამდე (ადგილობრივი დროით).

14 ოქტომბერი — 19.15; 20.00; 24.00.
15 ოქტომბერი — 19.15; 20.00; 24.15.
16 ოქტომბერი — 18.45; 20.30; 23.35.
17 ოქტომბერი — 18,30; 20.00; 23.45.
18 ოქტომბერი — 12.00; 19.30; 21.30; 24.15.
19 ოქტომბერი — 15.45; 20.00; 22.45.
20 ოქტომბერი — 14.30; 15.15; 19.00; 24.00.

## პირველად ისტორიაში



ისტორიაში პირველად ასპარეზობათა გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ოლიმპიური კოცონი აანთო ქალმა. მექსიკამ, XIX ოლიმპიადის მასპინძელმა ეს დიდად საპატიო მისია მიანდო ქვეყნის ჩემპიონს 400 მეტრზე რბენაში 20 წლის ენრიკეტა ბასილიოს, რომელსაც სურათზე ხედავთ ჩირაღდნის მაკეტით. გუშინ კი მან ელადის მიწიდან ჩამოტანილი ჩირაღდნით აანთო ოლიმპიური კოცონი.

## საქართველოს ოლიმპიელთა ფელიქი

**ჰელსინკი, 1952 წელი**

„ოქრო“ — დავით ციმაკურიძე, არსენ მეკოკიშვილი (ჭიდაობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), მედეა ჯუღელი (ტანვარჯიში).

„ვერცხლი“ — ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი).

„ბრინჯაო“ — ნინო დუმბაძე, ნადეჟდა დვალიშვილი, ლევან სანაძე (მძლეოსნობა).

**მელბურნი, 1956 წელი**

„ოქრო“ — გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე (ჭიდაობა).

„ბრინჯაო“ — ვახტანგ ბალავაძე, გოგი სხირტლაძე, რომან ძნელაძე (ჭიდაობა), ნადეჟდა დვალიშვილი (მძლეოსნობა), ბორის ნიკიტინი (ცურვა ესტაფეტა), ნოდარ გვახარია (წყალბურთი).

**რომი, 1960 წელი**

„ოქრო“ — რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა), ავთანდილ ქორიძე (ჭიდაობა).

„ვერცხლი“ — გოგი სხირტლაძე (ჭიდაობა), გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი), ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია (წყალბურთი).

„ბრინჯაო“ — გივი კარტოზია, ვლადიმერ რუბაშვილი (ჭიდაობა), გურამ კოსტავა (ფარიკაობა).

**ტოკიო, 1964 წელი**

„ოქრო“ — ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა, გუნდური), ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი).

„ვერცხლი“ — რომან რურუა, გურამ სალარაძე (ჭიდაობა), შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა), ლევან მოსეშვილი (კალათბურთი).

„ბრინჯაო“ — ანზორ კიკნაძე, ფარნაოზ ჩიქვილაძე (ძიუ-დო), ნოდარ ხოხაშვილი, დავით გვანცელაძე (ჭიდაობა), გურამ კოსტავა (ფარიკაობა).

წარსულ ოლიმპიადებში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე — ე. გოკიელს (მძლეოსნობა), ო. დადუნაშვილს (ველორბოლა), ა. ლოლობერიძეს, ა. ჭკუასელს, ვ. მარღანიას, გ. ანთაძეს (ფეხბურთი), ხ. ჯაიანს (ტანვარჯიში) ვ. ილურიძეს, ნ. მუზაშვილს, გ. როსტიაშვილს (ჭიდაობა) —ჰელსინკი; რ. ცირეკიძეს, ი. ოსიპოვს (ფარიკაობა) — მელბურნი; ა. შჩერბინას, რ. ქვაჩაკიძეს, ი. დიაჩკოვს (მძლეოსნობა) — რომი; ზ. ბერიაშვილს, შ. ლომიძეს, რ. აბაშიძეს (ჭიდაობა), ა. ტუტაკაევს (ცურვა), ბ. პოლულიახს (წყალში ხტომა), ო. ფხაკაძეს (ველორბოლა) — ტოკიო.

სამი ოლიმპიადის მონაწილენი არიან — მოჭიდავეები გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე (ჰელსინკი, მელბურნი, რომი), ორისა — ნადეჟდა დვალიშვილი (ჰელსინკი, მელბურნი), ბ. ნიკიტინი (მელბურნი, რომი), გოგი სხირტლაძე (მელბურნი, რომი), რ. შავლაყაძე (რომი, ტოკიო), გ. კოსტავა (რომი, ტოკიო), ნ. ასათიანი (რომი, ტოკიო).

## გუშინ სტადიონებზე

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 32-ე ტურის უკანასკნელი შეხვედრები.

ყურადღების ცენტრში იდგა გათამაშების ლიდერის კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრა. კიეველი სერებრიანიკოვის მიერ თამაშის მეორე ნახევრის 23-ე წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ჩემპიონს.

ლენინგრადის „ზენიტმა“ დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“.

ფრედ — 1:1 დამთავრდა ოდესის „ჩერნომორეცისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ შეხვედრა.

არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და ერევნის „არარატის“ მატჩის შედეგია 1:0 არმიელთა სასარგებლოდ.

## ოთხიდან — ოთხი, შესანიშნავია!

11 ოქტომბერს აშხაბადის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. შედგა აგრეთვე ნ. ალექსანდრიას გამოტოვებული პარტია მედიანიკოვასთან. საქართველოს ჩემპიონმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა და მეოთხე ქულა ჩაიწერა აქტივში. ოთხიდან — ოთხი — შესანიშნავი შედეგია. ნანას გადადებული აქვს მე-5 და მე-6 პარტიები გურფინკელთან და ჩაიკოვსკაიასთან.

გუშინ გათამაშდა მე-7 ტური. ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა რანიკუ, ხანაძემ წააგო შულთან. რთულ მდგომარეობაში გადაიდო ალექსანდრიას შეხვედრა გოლოვეისთან.

## გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი**

მდგომარეობა 18 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კ.) | 32 | 20 | 10 | 2 | 52-20 | 50 |
| „სპარტაკი“ | 32 | 18 | 7 | 7 | 52-35 | 43 |
| „ტორპედო“ (მ.) | 31 | 16 | 10 | 5 | 49-23 | 42 |
| ცსკა | 32 | 16 | 9 | 7 | 41-28 | 41 |
| „დინამო“ (მნ.) | 30 | 14 | 9 | 7 | 35-25 | 37 |
| „დინამო“ (თბ.) | 32 | 13 | 10 | 9 | 39-22 | 36 |
| „დინამო“ (მ.) | 31 | 14 | 8 | 9 | 43-29 | 36 |
| „ჩერნომორეცი“ | 31 | 10 | 14 | 7 | 43-38 | 34 |
| „ლოკომოტივი“ | 32 | 10 | 13 | 9 | 31-33 | 33 |
| „ზენიტი“ | 32 | 9 | 13 | 10 | 31-40 | 31 |
| „ზარია“ | 33 | 10 | 11 | 12 | 21-34 | 31 |
| „შახტიორი“ | 32 | 9 | 11 | 12 | 32-32 | 29 |
| სკა | 32 | 9 | 10 | 13 | 37-41 | 28 |
| „ნეფტჩი“ | 32 | 9 | 10 | 13 | 32-42 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 32 | 8 | 9 | 15 | 20-34 | 25 |
| „არარატი“ | 31 | 9 | 6 | 16 | 27-39 | 24 |
| „კაირატი“ | 32 | 8 | 8 | 16 | 21-35 | 24 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 33 | 7 | 9 | 17 | 25-40 | 23 |
| „პახტაკორი“ | 32 | 7 | 8 | 17 | 31-53 | 22 |
| „დინამო“ (კირ.) | 32 | 5 | 9 | 18 | 19-38 | 19 |

## სად, როდის, რამდენი?

თანამედროვეობის ოლიმპიური ასპარეზობანი დასაბამს იღებს 1896 წლიდან, როცა ფრანგ პიერ კუბერტენის ინიციატივით აღდგენილ იქნა ძალისა და სილამაზის ეს შესანიშნავი ანტიკური დღესასწაულები. ოლიმპიადები იმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ნაკიან წელიწადს (გამონაკლისია 1906 წელი, როცა ათენში გაიმართა რიგგარეშე, საიუბილეო ასპარეზობანი).

აი სად, როდის გამართულა თამაშები და რამდენ მონაწილესა და ქვეყანას მიუღია მათში მონაწილეობა:

| ქალაქები | წელი | მონაწილეთა რიცხვი | ქვეყნების რიცხვი |
|---|---|---|---|
| I ათენი | 1896 | 285 | 13 |
| II პარიზი | 1900 | 1066 | 20 |
| III სენტ-ლუისი (აშშ) | 1904 | 496 | 11 |
| IV ლონდონი | 1908 | 2059 | 22 |
| V სტოკჰოლმი | 1912 | 2541 | 28 |
| VI ბერლინი | 1916 | არ გამართულა | |
| VII ანტვერპენი (ბელგია) | 1920 | 2606 | 29 |
| VIII პარიზი | 1924 | 3092 | 40 |
| IX ამსტერდამი (ჰოლანდია) | 1928 | 3015 | 46 |
| X ლოს-ანჯელესი (აშშ) | 1932 | 1408 | 37 |
| XI ბერლინი | 1936 | 4069 | 49 |
| XII ჰელსინკი | 1940 | არ გამართულა | |
| XIII ლონდონი | 1944 | არ გამართულა | |
| XIV ლონდონი | 1948 | 4468 | 59 |
| XV ჰელსინკი | 1952 | 5867 | 69 |
| XVI მელბურნი (ავსტრალია) | 1956 | 3829 | 67 |
| XVII რომი | 1960 | 5902 | 84 |
| XVIII ტოკიო | 1964 | 5985 | 94 |

როგორც ვხედავთ, სამჯერ — პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ხელი შეუშალეს თამაშების ჩატარებას, მაგრამ ოლიმპიადების რიგი ამით არ დარღვეულა.

MEXICO 68

## ნინო ჭირაქაძე — ლაურეატი



მსოფლიოს 20 ქვეყნის 85 წარმომადგენელი ჩამოვიდა გამოჩენილი პორტუგალიელი კომპოზიტორისა და პიანისტის ვიანა და მონტის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც 18 სექტემბერს გაიხსნა ლისაბონში. ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების საუკეთესო პიანისტებთან ერთად კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მუსიკოსებმაც, მათს შორის იყო თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე ნინო ჭირაქაძე (პროფესორ ვ. შიუკაშვილის კლასი).

კონკურსის მონაწილეებს საკმაოდ რთული პროგრამა უნდა გაევლოთ, რომელიც ოთხი ტურისაგან შედგებოდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან ამ ტურების შედეგები. ჩვენმა თანამემამულემ ნინო ჭირაქაძემ სხვა საბჭოთა პიანისტებთან ერთად შესანიშნავად დაუკრა ყველა ტურში და ფინალში სოლო კონცერტით, შემდეგ კი სიმფონიურ ორკესტრთან გამართული კონცერტით მოხიბლა ჟიური და მაყურებელი.

კონკურსზე პირველი პრემიები წილად ხვდათ საბჭოთა პიანისტებს ვ. პოსტნიკოვასა და ფ. ბადალბეილის, ჩვენმა თანამემამულემ — 16 წლის ნინო ჭირაქაძემ, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო მონაწილეთა შორის, მეოთხე საპატიო ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ნინო ჭირაქაძეს კარგახანია იცნობს ჩვენი მუსიკალური საზოგადოება. ჯერ კიდევ 13 წლისამ საპატიო დიპლომი მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკების პიანისტთა შეჯიბრებაში, სადაც კონკურსგარეშე მონაწილეობდა, შემდეგ მისი დაკვრა საუკეთესოდ ცნო და დიპლომით დააჯილდოვა ჩეხოსლოვაკიის რადიოს სპეციალურმა ჟიურიმ.

მაგრამ ახლანდელ კონკურსში მიღწეული წარმატება ნიჭიერი პიანისტის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. მან კარგად დასძლია ჯერ წინასაკონკურსო ძნელი პროგრამა, შემდეგ კი შეუფერხებლად გაიარა კონკურსის ყველა ტური.

გუშინ ნინო ჭირაქაძე ლისაბონიდან თბილისში დაბრუნდა. მასთან ერთად დედაქალაქში ჩამოვიდა მისი მასწავლებელი ვანდა შიუკაშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მუსიკოსის ამ წარმატებაში.

* * *

სურათზე: პროფესორი ვ. შიუკაშვილი და ნინო ჭირაქაძე თბილისის ვოგზალზე.

ფოტო ე. პესოვისა.

## ოლეგ პოპოვი იღიმება

პირობისამებრ წარმოდგენის დაწყების წინ შევხვდით ერთმანეთს. მთელი მისი ოთახი, სადაც იგი სპექტაკლისათვის ემზადება, სავსეა რეკვიზიტით, რომლის უმრავლესობა თავისი ხელით აქვს გაკეთებული. ჩანს, მისი წინანდელი ხელობა — ზეინკლობა ახლაც ეხმარება მუშაობაში.

ბავშვობიდან აკრობატიკა იტაცებდა და მეცადინეობდა სპორტულ საზოგადოება „კრილია სოვეტოვ“-ში. სწორედ აქ გაიცნო ცირკის მსახიობები, რომლებიც ხშირად დადიოდნენ ამ საზოგადოებაში. მათვე მიიყვანეს ოლეგ პოპოვი ცირკის არენაზე.

მალე მან საცირკო ხელოვნების სასწავლებელი დაამთავრა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო ცირკში. ოლეგი იხსენებს, რომ მისი პირველი გამოსვლა ცირკში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისში მოხდა. ეს პირველი ნაბიჯები იყო. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ოლეგმა პროფესია გამოიცვალა, მავთულზე ეკვილიბრიდან კლოუნად დაიწყო მუშაობა. და მისი სახელი იმ დროიდანვე იხსენიება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კლოუნების რიცხვში. იწყება საზღვარგარეთ საგასტროლო მოგზაურობათა სერია. მას ტაშს უკრავენ ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთსა და კანადაში, იაპონიასა და კუბაში, უნგრეთსა და პოლონეთში.

და, სადაც კი გამოჩნდებოდა არენაზე მრგვალ, მბრწყინავ თვალებიანი კლოუნი თავზე უჯრედებიანი დიდი კეპით, ყველგან იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას.

ოლეგი მშვიდად, აუჩქარებლად გვესაუბრება და არც თუ ბევრს გვიამბობს საკუთარ თავზე.

— ვინ მიგაჩნიათ პლანეტის პირველ კლოუნად? — ვეკითხებით მას.

— აი პირველი კლოუნი, რომელსაც კონკურენციას ვერავინ გაუწევს, — და ოლეგი გვიჩვენებს სარკის ზემოთ ჩამოკიდებულ პატარა ფოტოსურათზე. მასზე გამოსახულია ჩარლი ჩაპლინი, გვერდით ოლეგ პოპოვი უდგას. — იგი ყველაზე დიდია, — განაგრძობს ოლეგი, — ყველაზე დიდი კლოუნი და კომიკოსი. ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1964 წელს იტალიაში, სადაც იმ დროს ჩვენი ცირკი გასტროლებზე იმყოფებოდა. ჩვენი შეხვედრა სულ ცოტა ხანს გრძელდებოდა, რადგან იგი ძალიან მოუცლელი იყო, მაგრამ მთელ სიცოცხლეს მეხსომება.

ჩვენს ქვეყანაშიც ბევრია კარგი კლოუნი: კარანდაში, ნიკულინი, ვიატკინი. ჩვენში ბევრი ნიჭიერი მსახიობი გაიზარდა. და სულაც არ ვეთანხმები ჯერ კიდევ არსებულ აზრს, თითქოს დღეისათვის ჩვენი კლოუნადა ვიწრო ადგილს წარმოადგენდეს ჩვენს ცირკში.

— თქვენ „მზიურ კლოუნს“ გიწოდებენ. საიდან წარმოიშვა ასეთი სახელწოდება?

— ლონდონში ჩავედი გასტროლებზე. როგორც ცნობილია, ეს ქალაქი თითქმის ყოველთვის ნისლშია გახვეული. ჩემი გასტროლების პირველივე დღიდან გამოჩნდა მზე, დადგა მზიანი დღეები. და ლონდონელები ხუმრობით ამბობდნენ, მზე ოლეგ პოპოვმა ჩამოგვიყვანაო. ამიტომ შემარქვეს „მზიური კლოუნი“.

კლოუნი მთავარი ფიგურაა ცირკში. ცირკი უკლოუნოდ რა ცირკია, — განაგრძობს ოლეგი. — მას მიჰყავს ცირკში მთელი პროგრამა. აი ახლაც არენაზე უნდა გავიდე. და მიუხედავად იმისა, რომ მთელი პროგრამა უაღრესად დახვეწილია, მაინც ძალიან ვღელავ. ყოველთვის ხომ ახალ აუდიტორიაში გამოდიხარ მაყურებლის სამსჯავროზე.

— მომიტევეთ, რომ დროებით უნდა დაგტოვოთ, წარმოდგენა იწყება. ნახეთ ჩვენი პროგრამა, — მიგვიპატიჟა მან...

მართლაც, ყველაფერი, რასაც არენაზე ოლეგ პოპოვი უჩვენებს, უაღრესად დახვეწილია, საინტერესოდ და დიდი გემოვნებით არის გაკეთებული. ავიღოთ თუნდაც მისი მთავარი ნომერი მავთულზე. ამ ნომერში იგი გამოდის როგორც ჟონგლიორი და ეკვილიბრისტი, რომელსაც საერთო არა აქვს რა კლოუნადასთან. მაგრამ რა მსუბუქად და ოსტატურად ასრულებს ამ ნომერს. იგრძნობა მსახიობის ძალდაუტანებლობა და პროფესიონალიზმი. რამდენი იუმორია მის პატარა სცენაში „ლექცია“. დარბაზი ხარხარებს. იცინის ყველა — ახალგაზრდა და ხნიერი, თვით მსახიობებიც კი. გონებამახვილურად მოფიქრებულია ადამიან-შადრევნის სცენა, სცენა ამბულატორიაში.

ოლეგ პოპოვი ყოველთვის ერიდება ხელოვნურობას თამაშში. მის გამოსვლაში იგრძნობა შესრულების სილაღე. პოპოვის ღიმილი მისი წარმატების დიდი თანამგზავრია. მასთან ერთად ყოველთვის იღიმება მაყურებელიც. უცქერი ამ ნიჭიერ მსახიობს და ფიქრობ, არენის რამდენ გამოუმჟღავნებელ საინტერესო და ორიგინალურ საიდუმლოებას ინახავს იგი, და გინდა წარმოიდგინო ახალ ნომრებსა და რეპრიზებში კიდევ რამდენ სიხარულს, სიცილს მოჰგვრის და კარგ გუნებაზე განაწყობს ადამიანებს...

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კვლავ შევედით მის ოთახში.

— ეს არის და ეს, — თქვა მან, თან გრიმს იხსნიდა და კლოუნის კოსტიუმს იხდიდა. მოვრჩი მუშაობას! შეგვიძლია განვაგრძოთ საუბარი, თან სუფთა ჰაერი ვისუნთქოთ, — თქვა პოპოვმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ აღმოვჩნდით მაღალ პლატოზე იქვე ცირკის მახლობლად. თბილი საღამო იყო, შემოდგომისას არა ჰგავდა. იქ, ქვევით, თბილისის სანაპირო ქუჩებზე მიჰქროდნენ მსუბუქი მანქანები. ბეტონში მომწყვდეული მოლურჯო-რუხი მტკვარი მდორედ მიედინებოდა ორთაჭალისაკენ.

ოლეგი იქვე ბორცვზე ჩამოჯდა, და ჩვენ ვიგრძენით, რა დაღლილი იყო.

— კლოუნადაზე ვლაპარაკობდით. ნამდვილი კლოუნი ხომ მარტო მოლაყბე არ არის. ეს არის სერიოზული ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევს ხუმრობითა და ღიმილით მნიშვნელოვანი აზრები მიაწოდოს მაყურებელს. ძნელია იყო ნამდვილი კლოუნი. მისი მთელი ხელოვნება ხომ ტრიუკზეა აგებული. თუ გამოუვიდა, ნომერიც გამოსულია. ტრიუკი საჭიროა არა მარტო ცირკის არენაზე. ვერ დამისახელებთ ვერცერთ კომედიას, სადაც ტრიუკი არ იყოს. ახლა კინოკომედია ავიღოთ. კინოხელოვნებაში ეს ჟანრი თითქმის აღარ არის სამამულო კინემატოგრაფიაში. არ ვიცი, რას ფიქრობენ ამაზე ჩვენი გამოჩენილი ხელოვანნი, მაგრამ კარგი კომედიები ცოტა გვაქვს. ამას ისე, სხვათა შორის ვამბობ.

ამას წინათ დამთავრდა გადაღება ახალი საბავშვო ფერადი ფართოეკრანიანი ფილმისა „ნახევარი საათი სასწაულებს“, რომელშიც ჯადოქარი მდებავის როლს ვთამაშობ. ფილმი მალე გამოვა ეკრანებზე. რამდენად კარგად გამომივიდა როლი ამ ფილმში — თვითონ განსაჯეთ. მაყურებელს ხომ ყველაზე უკეთ შეუძლია განსაჯოს. თბილისელი მაყურებელი კი მეტად მკაცრი, მაგრამ ამასთან ობიექტური და გულთბილი განმსჯელია.

უკვე გვიან იყო, საუბარი რომ დავამთავრეთ. ოლეგი წამოდგა და ნათელი თვალებით ცას შეხედა. ცა სუფთა და გამჭვირვალე იყო. ათასი ვარსკვლავი ბრწყინავდა მის კაბადონზე. — რა კარგია, — თქვა ოლეგმა. — დაე ეს ცა მუდამ იყოს ასეთი ლამაზი, მოწმენდილი, მშვიდობიანი.

ვლ. გინზბურგი.





სურათებზე: ზემოდან — ოლეგ პოპოვი ფიქრობს, ჯავრობს, იღიმება; ო. პოპოვი თავის ოთხფეხა მეგობართან.

ფოტო ავტორისა.

## ტელევიზია

**კვირა, 13 ოქტომბერი**

10.20 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 2. მხატვრული ფილმი „აიბოლიტი-66“, 12.40 — კინონარკვევი, 12.50 — მოსწავლეთათვის „მაძიებელი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 13.20 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1920 წელი (ქართულ ენაზე), 14.20 — მოსწავლეთა კონცერტი (გადმოცემა ბერლინიდან), 15.00 — „მოსავლის ზეიმი“ — პროგრამა, მიძღვნილი სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღისადმი. საქართველოს ტელევიზიის მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — „კინოაფიშა“, 18.30 — კონცერტი „მსოფლიო ვარსკვლავები“, 19.20 — გადაცემა „საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — სოჭის ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო საესტრადო სიმღერების ფესტივალის ლაურეატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს „შვიდი დღე“. საერთაშორისო პროგრამა, 23.00 — „ეთერში „ახალგაზრდობა“ — „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. (მეცხრე არხით) დაიწყება 19 საათიდან.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## რადიო

**ორშაბათი, 14 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — აისის ჰანგები, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.20 — ტ. ბაქრაძე. საფორტეპიანო ტრიო და რომანსები, 10.30 — „აღმოსავლეთის ქალიშვილი“. ტაჯიკეთის რადიოს ლიტერატურული კომპოზიცია (მოსკოვი), 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — ბეთჰოვენი. სავიოლინო კონცერტი, 12.10 — „დაირისა და დუდარის ჰანგებზე“. ტაჯიკეთის ხალხური საცეკვაო რიტმები (მოსკოვი), 12.30 — გადაცემა ციკლიდან „ლაპარაკობენ საწარმოთა ხელმძღვანელები“, საუბარი „წარმოების ეფექტურობა“, 12.45 — ა. ბუკია, ნაწყვეტები ოპერიდან „დაუპატიჟებელი სტუმრები“, 13.10 — „XIX ოლიმპიადაზე მეხიკოში“ (მოსკოვი), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — თვითმოქმედი ანსამბლების კონცერტი, 14.00 — „ნიკოლოზ ოსტროვსკი და მუსიკა“ (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ბედნიერა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მენდელსონი. „უსიტყვო სიმღერები“ ანი დორფმანის შესრულებით, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 19.00 — საუბარი „ჰყვავის საბჭოთა ტაჯიკეთი“, 19.15 — ნ. გაბუნია. „იგავი“, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ვ. მაისურაძისა და მ. დონაძის კონცერტი, 20.20 — ამერიკის უგვირგვინო მეფეები“ (მოსკოვი), 20.35 — „XIX ოლიმპიადაზე მეხიკოში“ (მოსკოვი), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოკომპოზიცია „ლიტერატურული ქუთაისი“, 22.00 — მუსიკალური გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ა. რუბინშტეინი. ნაწყვეტები ოპერიდან „დემონი“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

**13 ოქტომბერი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ექიმი აიბოლიტი (დღისით), ტრავიატა (საღამოს, მე-4 აბონ. მე-9 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები (დღისით), მისი უდიდებულესობა (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ვახშმობის წინ (დღისით), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), ჩანიტას კოცნა (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითურა (№ 24 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), კოლეგები (№ 47 აბონ. საღ. 6 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — ბულგარეთის ესტრადის ოსტატთა კონცერტი, თოჯინების ქართული — გულადი ღილელა (დღის 12 ს.),

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.